



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 125/ს
03/06/2022

125-21-4-202206031355



ქ. რუსთავში შპს „ეი-ემ-ბი ალოისის“ ფეროშენადნობების წარმოების საწარმოს (სილიკომანგანუმის საწარმოს) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ეი-ემ-ბი ალოისის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. რუსთავში ფეროშენადნობების წარმოების საწარმოს (სილიკომანგანუმის საწარმოს) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2019 წლის 21 თებერვალს შპს „ეი-ემ-ბი ალოისის“ ფეროშენადნობების წარმოების საწარმოს (სილიკომანგანუმის საწარმოს) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-175).

2021 წლის 8 ივლისს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ეი-ემ-ბი ალოისის“ ფეროშენადნობების საწარმოს გეგმიური შემოწმება, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 76¹, 79⁷-79⁸ მუხლების პირველი ნაწილით და ასევე „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 32-ე მუხლის მე-4 და 45-ე მუხლის მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №064463, №064465 და №064464 ოქმები და ადმინისტრაციული წარმოების მასალები განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. 2021 წლის 15 ნოემბერს, რუსთავის საქალაქო სასამართლოს №4-283-21 დადგენილებით, კომპანია ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ეი-ემ-ბი ალოისის“ სილიკომანგანუმის საწარმო მდებარეობს ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა №12-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 15030 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 02.07.01.558). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 800 მეტრით, ხოლო მიმდებარედ (500 მეტრიან რადიუსში) განთავსებულია სხვადასხვა საწარმოო ობიექტები.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, ფეროშენადნობების საწარმოში ხორციელდება 6090 ტ/წელ ფეროსილიკომანგანუმის, 12528 ტ/წელ ფერომანგანუმის, 8178 ტ/წელ ფეროქრომისა და

3132 ტ/წელ ფეროსილიციუმის წარმოება, რისთვისაც გათვალისწინებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები: დაცვის ჯიხური, ადმინისტრაციული შენობა, პერსონალის შენობა, საწყობი, მექანიკური საამქრო, შხეფ-მაცივარი (ბრუნვითი გაგრილების სისტემა), საწარმოო შენობა (ღუმელი), ბუნკერი, კონვეიერი, წიდის ორმო გრანულაციისთვის, სასწორი, სასწორის ჯიხური, საკაზმი ნედლეულის ღია საწყობი, კოქსის საწყობი (780 ტ), დოლომიტის საწყობი (750ტ), კვარცის საწყობი (450ტ), მანგანუმის მადნის საწყობი (4500 ტ), წიდის საწყობი, საკაზმი მასალების კონვეიერი, ელექტრორკალური ღუმელი, ტექნიკური წყლის გაწმენდის უბანი, ნავთობდამჭერი, სახანძრო უსაფრთხოების და მტვერდამჭერი სისტემები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოო ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით, ფეროშენადნობების წარმოების საწყის ეტაპზე ხდება ნედლეულის ოპტიმალური რაოდენობის შერევა და სილიკომანგანუმის დნობისთვის განკუთვნილ ღია ტიპის ელექტრორკალური ღუმელის ჩასატვირთ ბუნკერში მოთავსება, საიდანაც შერეული ნედლეულის მასა, სადინარების საშუალებით, გადაინაცვლებს ღუმელში. სადნობი ღუმელის კარკასი ცილინდრული ფორმისაა და შიგნიდან ამოგებულია ცეცხლგამძლე აგურით, კარბიდითა და სილიციუმით. ფეროშენადნობების მისაღებად საჭირო ტემპერატურაა 350-1500° C. სადნობ ღუმელში სასურველი ტემპერატურული პირობები მიიღწევა ნედლეულის მასაში ნაწილობრივ დაფლული ელექტროდების ბალანსირებით, რომელთა გადაადგილება ხორციელდება ჰიდრავლიკური სისტემით. აღნიშნული პროცესი მოიცავს ორსაათიან ციკლს. დნობის დასრულების შემდგომ, ჩამოსხმული ნადნობი იმსხვრევა, თავსდება სპეციალურ ტარაში და იტვირთება ავტოტრანსპორტში.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, სილიკომანგანუმის საწარმოში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: შემცირდა სადნობი ღუმელის გამწოვი მილის სიმაღლე და გაიზარდა მისი დიამეტრი, კერძოდ, ნაცვლად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული 23 მეტრი სიმაღლისა და 0,5 მეტრი დიამეტრის მქონე მილისა, მოწყო 18 მეტრი სიმაღლის და 1 მეტრი დიამეტრის მქონე მილი; შეიცვალა საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი წიდის განთავსების ადგილმდებარეობა და მისი დასაწყობება ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებულ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 02.07.01.783), სადაც ასევე დაგეგმილია სანიაღვრე არხების მოწყობა; განთავსდა ნარჩენი ზეთების აღდგენის დანადგარი. ობიექტის სამუშაო რეჟიმი, სილიკომანგანუმის წარმოების ტექნოლოგია და წარმადობა დარჩა უცვლელი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ფეროშენადნობების საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით. სასმელ-სამეურნეო მიზნით წყალაღება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო ტექნიკური დანიშნულებით (გაგრილების სისტემა) - სამელიორაციო სისტემიდან, რომელიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან 215 მეტრში. ობიექტზე ფუნქციონირებს ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა და შესაბამისად, ექსპლუატაციის პროცესში ტექნიკური ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. საწარმოს ფუნქციონირების ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება ქ. რუსთავის საკანალიზაციო ქსელში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სილიკომანგანუმის საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის საკითხის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრულ პირობებთან

შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ობიექტის ტერიტორიაზე იგეგმება სანიაღვრე ქსელის მოწყობა, რის შემდგომაც სანიაღვრე წყლების ჩაშვება მოხდება ქ. რუსთავის სანიაღვრე ქსელში. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, სანიაღვრე ქსელი ასევე მოეწყობა წიდის განთავსებისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზეც.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ადგილი აქვს მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული სადნობი ღუმელის გამწოვი მილის პარამეტრების გათვალისწინებით, აირჰაერნარევის მონაცემები იყო: სიჩქარე - 20,382 მ/წმ; მოცულობითი ხარჯი - 4,00 მ³/წმ; ტემპერატურა - 110⁰ C. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ, კერძოდ, სადნობი ღუმელის გამწოვი მილის პარამეტრების ცვლილების შედეგად, აირჰაერნარევის მონაცემები იქნება: სიჩქარე - 38,269 მ/წმ; მოცულობითი ხარჯი - 27,7 მ³/წმ; ტემპერატურა - 100⁰ C. აღსანიშნავია, რომ მოცემული პარამეტრები არ შეესაბამება შპს „ეი-ემ-ბი ალოისის“ №19/04 (სამინისტროს რეგისტრაციით №9991; 20.04.2022) წერილით შესათანხმებლად წარმოდგენილი სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის №002119 (04.03.2022) მიწერილობის საფუძველზე საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტის მაჩვენებლებს. ვინაიდან, აირჰაერნარევის პარამეტრები პირდაპირ კავშირშია „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრულ გაზომვის დიაპაზონებთან, რომლებიც წარმოადგენს ცალკეული საწარმოსთვის უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის ვალდებულების საფუძველს, შეთანხმებულ და წარმოდგენილ მონაცემებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების გამო, მაჩვენებლები საჭიროებს საფუძვლიან შესწავლას/დასაბუთებას, მათ შორის, ინსტრუმენტული გაზომვების საფუძველზე. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში, ისევე როგორც საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით განახლებულ ზდგ ნორმების პროექტში, არ არის გათვალისწინებული ნარჩენი ზეთების აღდგენის დანადგარიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სილიკომანგანუმის საწარმოს ფუნქციონირების შედეგად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სილიკომანგანუმის საწარმოში გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ გულისხმობს ხმაურის/ვიბრაციის დამატებითი წყაროების განთავსებას და შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ გაიზრდება. თუმცა, დოკუმენტში არ არის აღწერილი და გათვალისწინებული საწარმოს ტერიტორიაზე, მათ შორის წიდის განთავსებისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, სანიაღვრე სისტემის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები და მოსალოდნელი ზემოქმედება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი აქვს საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხორციელდება მუნიციპალურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსება ხდება ობიექტის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ უბანზე და საჭიროებისამებრ, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. დოკუმენტის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად, საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობრივი შემადგენლობა და რაოდენობები არ იზრდება. ობიექტზე ნარჩენი ზეთების აღდგენის ხაზის დამატების შემდგომ, მოხდება მათი მეორადი გამოყენება და საწარმოო ციკლში დაბრუნება. რაც შეეხება ფეროშენადნობების წარმოების პროცესში წარმოქმნილ ძირითად ტექნოლოგიურ ნარჩენს (15000 ტ/წელ წიდა), მისი განთავსება ხორციელდება საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ 29 101 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე (ს/კ: 02.07.01.783). აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე უკვე დასაწყობებულია 45000 ტონა წიდა, 8-10 მეტრი სიმაღლის გროვებად. წიდის განთავსებისათვის გამოყოფილი ტერიტორიის ფართობისა და საწარმოს წარმადობის გათვალისწინებით, აღნიშნული მიწის ნაკვეთის წიდის სანაყაროდ გამოყენება შესაძლებელი იქნება უახლოესი 10 წლის განმავლობაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, წიდის განთავსებისათვის განკუთვნილი ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისგან და არ გამოირჩევა ცხოველთა მრავალფეროვნებით. იგი არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ტყით მჭიდროდ დაფარული და დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. წიდის განთავსების ტერიტორიაზე, დაგეგმილია საშუალოდ 15 სმ სიმაღლის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. მიწის ნაკვეთის სრულად ათვისების შემთხვევაში, მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის საერთო მოცულობა იქნება დაახლოებით 3500-4000 მ³ და იგი დასაწყობდება წიდის ნაყარისაგან განცალკევებით, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, ამავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ათვისებული ახალი ტერიტორიის (წიდის სანაყარო) საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასება, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას. ამასთან, ვინაიდან წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებულია 6 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია.

როგორც უკვე აღინიშნა, სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ობიექტზე გათვალისწინებულია ფეროშენადნობების წარმოების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენი ზეთების აღდგენა, რისთვისაც საწარმოში განთავსებულია 3 ტ/სთ წარმადობის მქონე, ნარჩენი ზეთების აღმდგენი დანადგარი. ნარჩენების აღდგენის პროცესის ხანგრძლივობა შეადგენს 12-16 საათს და აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია 2-3 წელიწადში ერთხელ, რის შემდგომაც მიღებული პროდუქტი დაბრუნდება საწარმოო ტექნოლოგიურ ციკლში. დოკუმენტში მოცემული არ არის აღნიშნული საქმიანობის მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია, არ არის წარმოდგენილი მეორადი ზეთების აღდგენის ტექნოლოგიური პროცესი და გამოყენებული ზეთების რაოდენობა, ასევე არ არის შეფასებული ნარჩენების აღდგენის შედეგად გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, სპეციფიკიდან გამომდინარე, არ იქნება დაკავშირებული კუმულაციური ზემოქმედების რისკების ზრდასთან. როგორც უკვე აღინიშნა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ობიექტი მდებარეობს საწარმოო ზონაში და მის მიმდებარედ განთავსებულია სხვადასხვა საწარმოო ობიექტები, თუმცა, მათი ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.


„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. რუსთავში შპს „ეი-ემ-ბი ალოისის“ ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის (სილიკომანგანუმის საწარმოს) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ეი-ემ-ბი ალოისის“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ეი-ემ-ბი ალოისის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ეი-ემ-ბი ალოისის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო